

თავი II

2018 წლის იანვარ-სექტემბრის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2018 წლის პირველი ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 4.9 პროცენტი შეადგინა. აქედან, 2018 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 5.3 პროცენტი, ხოლო II კვარტალში 5.5 პროცენტი შეადგინა.

2018 წლის პირველი ნახევრის საშუალო რეალურმა ზრდამ 5.4% შეადგინა. 2018 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: საფინანსო საქმიანობა (16.2%), სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (15.7%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (13.6%), ვაჭრობა (7.9%), სამთომომპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა (7.8%), სასტუმროები და რესტორნები (7.5%), ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (6.0%) და სხვა.

ფასები

2018 წლის სექტემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 2.7 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ტრანსპორტი: ფასები გაიზარდა 6.2%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.83 პროცენტული პუნქტით აისახა; სურსათი და უალკოჰოლური სასმელები: ფასები გაიზარდა 1.8%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.55 პროცენტული პუნქტით აისახა; ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 5.7%-ით, რაც 0.48 პროცენტული პუნქტით აისახა; საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი: ფასები გაიზარდა 4.4%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.38 პროცენტული პუნქტით აისახა; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 4.9%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.34 პროცენტული პუნქტით აისახა;

გაცვლითი კურსი

2018 წლის ცხრა თვეში ლარი გაუფასურდა აშშ დოლართან, ხოლო გამყარდა ევროსთან მიმართებაში. 2018 წლის სექტემბერში 2017 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.9 პროცენტით გაუფასურდა და 2.62 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გამყარდა 13.5 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2018 წლის სექტემბერში 2017 წლის სექტემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 15.0 პროცენტით გაიზარდა და 19 504.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 17.3 პროცენტით გაიზარდა და 8 971.3 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2018 წლის სექტემბერში მთლიანი დეპოზიტები 16.2 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 21.8 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 13.1 პროცენტით გაიზარდა.

2018 წლის სექტემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 63.1 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში 3.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 55.5 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2018 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 124.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20.8 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 2 448.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (25.7 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 6 676.7 მლნ აშშ დოლარს (19.1 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წლის იანვარ-სექტემბერში 4 228.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2018 წლის იანვარ-სექტემბერში მთლიან საქონელბრუნვაში ევროკავშირის წილი 27.2 პროცენტს შეადგენს. თურქეთის - 13.7 პროცენტს, რუსეთის - 10.9 პროცენტს, ჩინეთის - 8.9 პროცენტს, აზერბაიჯანის - 8.1 პროცენტს.

მთლიან ექსპორტში ევროკავშირის წილი 21.8 პროცენტს შეადგენს. აზერბაიჯანის - 14.0 პროცენტს, რუსეთის - 12.9 პროცენტს, სომხეთის - 8.1 პროცენტს, თურქეთის - 7.9 პროცენტს, ჩინეთის - 6.7 პროცენტს.

მთლიან იმპორტში ევროკავშირის წილი 29.2 პროცენტია. თურქეთის - 15.9 პროცენტი, რუსეთის - 10.1 პროცენტი, ჩინეთის - 9.7 პროცენტი, აზერბაიჯანის - 6.0 პროცენტი.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატებია 15.3 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები 11.4 პროცენტი, ფეროშენადნობები 11.1 პროცენტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები 5.7 პროცენტი და მედიკამენტები დაფასოებული 4.1 პროცენტი.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 9.7 პროცენტია წილი უკავია. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები 6.6 პროცენტი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები 4.4 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები დაფასოებული 3.6 პროცენტი და ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 3.0 პროცენტი.

2018 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 483.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 19.6 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 533.0 მლნ აშშ დოლარი იყო (13.2 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 950.4 მლნ აშშ დოლარი (21.5 პროცენტით მეტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3 104.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2017 წლის იანვარ-სექტემბერთან შედარებით 29.2 პროცენტით მეტი). აქედან ექსპორტი 1 161.6 მლნ აშშ დოლარი (47.2 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 942.3 მლნ აშშ დოლარი იყო (20.3 პროცენტით მეტი).

ფულადი გზავნილები

2018 წლის იანვარ-სექტემბერში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.9 პროცენტით გაიზარდა და 988.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (142.9 მლნ აშშ დოლარით მეტი). წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია იტალიიდან 36.0 პროცენტით და 135.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (35.8 მლნ აშშ დოლარით მეტი), ისრაელიდან - 36.1 პროცენტით და 109.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (29.2 მლნ აშშ დოლარით მეტი), საბერძნეთიდან - 22.9 პროცენტით და 116.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (21.7 მლნ აშშ დოლარით მეტი).

ტურიზმი

2018 წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოს 6 498 ათასი ვიზიტორი ეწვია (2017 წლის ცხრათვის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 5 823 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 11.6 პროცენტით აღემატება.

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 571.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 20.5 პროცენტით (437.5 მლნ აშშ დოლარით მეტი) აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

ინფორმაცია საქართველოს 2018 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2018 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 346 376.2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 8 674 253.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.9%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 472 800.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 697 228.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.0%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 343 293.2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 326 643.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 95.1%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 530 283.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 650 381.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 122.6%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 162 876.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (96 600.0 ათასი ლარი) 168.6%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 72 609.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (39 000.0 ათასი ლარი) 186.2%-ია.

2018 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	8,346,376.2	8,674,253.5	327,877.3	103.9
გადასახადები	7,472,800.0	7,697,228.2	224,428.2	103.0
საშემოსავლო გადასახადი	2,372,000.0	2,440,375.7	68,375.7	102.9
მოგების გადასახადი	502,000.0	576,370.9	74,370.9	114.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,218,000.0	3,295,687.0	77,687.0	102.4
აქციზი	1,060,000.0	1,091,008.2	31,008.2	102.9
იმპორტის გადასახადი	43,500.0	55,746.8	12,246.8	128.2
ქონების გადასახადი	293,300.0	333,319.3	40,019.3	113.6
სხვა გადასახადი	-16,000.0	-95,279.7	-79,279.7	595.5

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გრანტები	343,293.2	326,643.4	-16,649.8	95.1
სხვა შემოსავლები	530,283.0	650,381.9	120,098.9	122.6

ინფორმაცია საქართველოს 2018 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2018 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 465 713.2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 746 066.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.8%.

2018 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	7,465,713.2	7,746,066.3	280,353.1	103.8
გადასახადები	6,880,500.0	7,075,260.7	194,760.7	102.8
გრანტები	308,293.2	325,365.0	17,071.8	105.5
სხვა შემოსავლები	276,920.0	345,440.5	68,520.5	124.7

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 880 500.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 075 260.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102.8%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2 151 727.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 073 000.0 ათასი ლარი) 103.8%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 576 370.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (502 000.0 ათასი ლარი) 114.8%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 3 295 687.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 218 000.0 ათასი ლარი) 102.4%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 1 091 008.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 060 000.0 ათასი ლარი) 102.9%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 55 746.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (43 500.0 ათასი ლარი) 128.2%-ია.

2018 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	6,880,500.0	7,075,260.7	194,760.7	102.8
საშემოსავლო გადასახადი	2,073,000.0	2,151,727.5	78,727.5	103.8
მოგების გადასახადი	502,000.0	576,370.9	74,370.9	114.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,218,000.0	3,295,687.0	77,687.0	102.4
აქციზი	1,060,000.0	1,091,008.2	31,008.2	102.9
იმპორტის გადასახადი	43,500.0	55,746.8	12,246.8	128.2
სხვა გადასახადი	-16,000.0	-95,279.7	-79,279.7	595.5

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 308 293.2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 325 365.0 ათასი ლარი (მათ შორის, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები - 47 213.7 ათასი ლარი) ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.5%.

ათასი ლარი

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	325,365.0
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	137,680.1
საინვესტიციო გრანტები	96,853.9
SDC	2,914.7
IFAD	1,099.4
GEF	1,145.3
EU	6,720.8
SIDA	5,841.8
MCC	71,434.9
KfW	6,421.9
CNF	1,275.1
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	43,617.3
მიმდინარე გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	47,213.7

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა განისაზღვრა 276 920.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 345 440.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 124.7%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 159 280.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (125 600.0 ათასი ლარი) 126.8%-ია. აქედან,

- პროცენტები - 74 862.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50 800.0 ათასი ლარი) 147.4%-ს შეადგენს.
- დივიდენდების სახით მობილიზებულია 70 242.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (60 600.0 ათასი ლარი) 115.9%-ს შეადგენს. მათ შორის, შემოსავალი ეროვნული ბანკის მოგებიდან შეადგენს 70 000.0 ათას ლარს.
- რენტის სახით მობილიზებულია 14 175.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 200.0 ათასი ლარი) 99.8%-ია.
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 54 568.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (48 520.0 ათასი ლარი) 112.5%-ია. აქედან,
 - ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 52 489.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (45 616.0 ათასი ლარი) 115.1%-ია. მათ შორის:
 - სალიცენზიო მოსაკრებელი - 581.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (456.0 ათასი ლარი) 127.5%-ია;
 - სანებართვო მოსაკრებელი - 34 410.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28 500.0 ათასი ლარი) 120.7%-ია.
 - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 1 438.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 340.0 ათასი ლარი) 107.3%-ია;
 - სახელმწიფო ბაჟი - 13 361.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 270.0 ათასი ლარი) 100.7%-ია;
 - საკონსულო მოსაკრებელი - 1 549.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (990.0 ათასი ლარი) 156.5%-ია;
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 775.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (700.0 ათასი ლარი) 110.8%-ია.
 - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 372.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (360.0 ათასი ლარი) 103.6%-ია.
 - არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 2 078.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 904.0 ათასი ლარი) 71.6%-ია. მათ შორის:
 - საქონლის რეალიზაციიდან - 37.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (44.0 ათასი ლარი) 85.7%-ია;
 - მომსახურების გაწევიდან - 2 039.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 860.0 ათასი ლარი) 71.3%-ია;
 - სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან - 1.4 ათასი ლარი.
- სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 57 276.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (43 200.0 ათასი ლარი) 132.6%-ია.
- ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე მობილიზებულია 7 516.4 ათასი ლარი.
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 66 799.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (59 600.0 ათასი ლარი) 112.1%-ია.

**2018 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	276,920.0	345,440.5	68,520.5	124.7
შემოსავლები საკუთრებიდან	125,600.0	159,280.5	33,680.5	126.8
პროცენტები	50,800.0	74,862.9	24,062.9	147.4
დივიდენდები	60,600.0	70,242.1	9,642.1	115.9
რენტა	14,200.0	14,175.5	-24.5	99.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	48,520.0	54,568.1	6,048.1	112.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	45,616.0	52,489.3	6,873.3	115.1
სალიცენზიო მოსაკრებლები	456.0	581.6	125.6	127.5
სანებართვო მოსაკრებლები	28,500.0	34,410.5	5,910.5	120.7
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	1,340.0	1,438.3	98.3	107.3
სახელმწიფო ბაჟი	13,270.0	13,361.1	91.1	100.7
საკონსულო მოსაკრებელი	990.0	1,549.4	559.4	156.5
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	700.0	775.6	75.6	110.8
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	360.0	372.8	12.8	103.6
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	2,904.0	2,078.8	-825.2	71.6
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	44.0	37.7	-6.3	85.7
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	2,860.0	2,039.7	-820.3	71.3
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		1.4	1.4	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	43,200.0	57,276.5	14,076.5	132.6
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		7,516.4	7,516.4	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	59,600.0	66,799.0	7,199.0	112.1

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 81 864.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (39 000.0 ათასი ლარი) 209.9%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 79 965.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (44 000.0 ათასი ლარი) 181.7%-ია.